ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1303655

ნომერი: AR1223491

თარიღი : 27.05.2014

გაცემის თარიღი : 03.06.2014

გაცნობის თარიღი : 03.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაღმართი გიორგი სააკაძე , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჯამბაზიშვილი პ/ნ 01023004996
- თბილისი წყნეთი კოსტავას 7ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურისსამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) და ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ერთ ერთ მნიშვნელოვან ადგილზე სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს ასევე შენობა არის ახლად აშენებული, არქიტექტურული თვალსაზრისით ჩამოყალიბებული იერსახის მქონე შენობა, რომლის ფასადის ცვლილება, მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ მიდგომას , იმის გამო, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი სარეკლამო აბრების განთავსება ხორციელდება შენობის ფასადების ორ მხარეს (მთავარი ძირითადი ფასადისა და ტორეცის მხრიდან) სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე შეაფასოს ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე წარმოდგენილი სახით შენობის მთავარი ფასადს ცენტრალურ შესასვლელთან, შენობის ექსტერიერის ერთ ერთი მნიშვნელოვანი წამყვანი დეკორატიული კედლის სარეკლამო აბრით გადაფარვა მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ხოლო რაც შეეხება ტორეცის მხრიდან სარეკლამო აბრის მოწყობა მიზანშეწონილად მიაჩნია, რისთვისაც საჭიროა წარმოდგენილი იქნას განახლებული ფოტომონტაჟი შენობის მხოლოდ ტორეცის ნაწილში სარეკლამო აბრის მოწყობით და ასევე შესაბამისი თანხმობის მისაღებად საჭიროა დამატებით გაითვალისწინოთ:

– აღნიშნული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით თქვენს მიერ ატვირთული თანხმობა არ არის მისაღები. წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა, სადაც სრულყოფილად ეწერება მინდობილი პირის– შპს „ნიუ ფონის“ უფლებამოსილება წარმოადგინოს შპს "კრონა" ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, შპს "კრონა"–ს სახელით მოიპოვოს თანხმობა და ა.შ. ასევე, სამსახურს უნდა მომართოს შპს "კრონა"–ს მიერ მინდობილმა პირმა, ხოლო მინდობილი პირის მიერ სხვა პირისათის უფლებამოსილების გადანდობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გათვალიწინებული იქნება შპს "კრონას" მიერ გაცემულ მინდობილობაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.